

ეგვიპტის რევოლუცია და საერთაშორისო ორგანიზაციები

მარიამ გვარამე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები,
ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის
ანთროპოლოგია)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	5
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
კვლევის მეთოდოლოგია.....	10
კვლევის შედეგები და შედეგების მნიშვნელობა.....	10
თავი 1	
1.1 ეგვიპტის 25 იანვრის რევოლუცია.....	12
1.2 სოციალური ქსელებისა და მასმედიის როლი ეგვიპტის რევოლუციაში.....	19
1.3 ეგვიპტის 25 იანვრის რევოლუციის გამომწვევი მიზეზები.....	23
1.4 დემოკრატიზაციის პრობლემები ეგვიპტეში.....	32
თავი 2	
2.1 ადამიანის უფლებები ეგვიპტეში.....	39
2.2 ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ეგვიპტეში.....	48
2.3 ეგვიპტელი კოპტების უფლებები.....	53
დასკვნა.....	58
გამოყენებული ლიტერატურა.....	60

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემატიკას წარმოადგენს 2011 წლის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მოვლენა - ეგვიპტის 25 იანვრის რევოლუცია, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და დღესაც ცხარე დებატებს იწვევს. ნაშრომის მიზანია ეგვიპტის რევოლუციის გამომწვევი იმ მიზეზების წარმოჩენა და განხილვა, რომელმაც ქვეყანა შეუქცევადი პროცესების ქარცეცხლში მოაქცია და პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად იქცა ეგვიპტეში ჰოსნი მუბარაქის 30 წლიანი ავტორიტარული მმართველობის პერიოდში შემოღებული საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი, რომელმაც მთლიანად მოსპო სასამართლოს გამჭირვალეობა, დაარღვია ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმპცია; გარდა ამისა, რევოლუციის წინაპირობად იქცა ის მრავალფეროვანი პრობლემები, როგორც იყო ადამიანის უფლებების სისტემატიური შელახვა; ქალთა სოციალური აქტივობის შეზღუდვა და სექსუალური ძალადობა; რელიგიური უცმირესობების დისკრიმინაცია, კერძოდ, ეგვიპტელი კოპტების უფლებების შეზღუდვა და მათი მეორეხარისხოვან მოქალაქეებად გადაქცევა; მასმედიაზე გაძლიერებული ცენზურის დაწესება; გიგანტური კორუფციის დონე და მექრთამეობა. პარადოქსულად ჩანს ის გარემოებაც, რომ ეგვიპტეს ხელმოწერილი და რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები, მაგრამ, როგორც ავლნიშნეთ, ადამიანის უფლებების დარღვევები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ეგვიპტეში.

25 იანვრის შემდეგ გარდამავალი პერიოდი დადგა ეგვიპტეში. მსოფლიოს ყურადღება გადატანილი იქნა არჩევნების პროცესზე - დემოკრატიზაციისთვის აუცილებელი პირობაზე. არჩევნების მიმდინარეობას ეგვიპტეში აკვირდებოდნენ ამერიკის პრეზიდენტის ჯიმი კარტერის მიერ 1982 წელს დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაციის "The Carter Center"-ის წარმომადგენლები. ეგვიპტეში მიმდინარე პროცესების კვლევისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მოხსენებები ეგვიპტის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ.

შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის პირველ თავში განხილულია ეგვიპტის 2011 წლის 25 იანვრის რევოლუცია, მისი გამომწვევი ის მიზეზები და პრობლემები, რომლებმაც გააერთიანა ათი ათასობით ეგვიპტელი ქვეყანაში არსებული ავტორიტარული მმართველობის წინააღმდეგ. ამავე თავში ყურადღება გამახვილებულია სოციალური ქსელებისა და მასმედიის როლზე ეგვიპტის რევოლუციაში, დემოკრატიზაციის პრობლემებზე და შეფასებულია ეგვიპტეში 2011-2012 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პროცესი.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ადამიანის უფლებების დარღში მომუშავე დასავლური მსხვილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების (“Human Rights Watch”, “Amnesty International”, “Freedom House”, “National Democratic Institute”) ყოველწლიური ანგარიშები და მოხსენებები. კერძოდ, გამოყენებულია მათი შეფასებები ეგვიპტეში ადამიანის უფლებების მდგომარეობის განხილვის კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე და ეგვიპტელი კოპტი უმცირესობის უფლებებზე რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ ეგვიპტეში.